

ლექსიკურ ნორმათა დარღვევები თანამედროვე  
ქართული პრესის ენაში

1. დარღვევები სიტყვათა მატაფორული ხმარებისას

თანამედროვე ქართული პრესის ენის შესწავლის შედეგად მოპოვებული მასალა ავლენს ლექსიკურ საშუალებათა გამოყენების არაერთ თავისებურებას. ამ მხრივ აღსანიშნავია სიტყვის ხმარებისადმი შედარებით უფრო თავისუფალი დამოკიდებულება, ვიდრე ეს ქართული სალიტერატურო ენის გამოყენების სხვა სფეროებში შეიძლება შეგვხვდეს. ამ მოვლენას ნაწილობრივად გაზეთის და ჟურნალის მომზადებისა და გამოშვების სპეციფიკა განსაზღვრავს, რაც განსაკუთრებულ სისწრაფესა და ოპერატიულობას მოითხოვს. ასეთ პირობებში, ერთი მხრით, სიტყვის ძირითადი მნიშვნელობისა და, მეორე მხრით, ამ მნიშვნელობის ფაქიზი ნიუანსების ზუსტად გათვალისწინება ხშირად ვერ ხერხდება, ხოლო არაიშვიათად მძიმე შეცდომებიც კია დაშვებული ამ მხრივ, თანაც გზა აქვს გახსნილი სიტყვა-კალკებსა და ბარბარიზმებს; ზედმეტად ფართოდ გამოიყენება პროფესიული და ტერმინოლოგიური ლექსიკა; უცხო სიტყვებით გატაცების პარალელურად კუთხური და სასაუბრო ენისათვის დამახასიათებელი სიტყვების ხშირი ხმარებაც შეინიშნება; გვხვდება სიტყვების ფუჭად და ტავტოლოგიურად ხმარების შემთხვევები, პარონიმული შეცდომები და სხვ.

გამომსახველობის გააღვირებისათვის, მეტი ექსპრესიულობისათვის გაზეთის ენას სხვა საშუალებებთან ერთად ენის ლექსიკური სიმდიდრის ფართო გამოყენება ესაჭიროება, რომ იგი არ გახდეს მშრალი და ემოციურობას მოკლებული. მაგრამ გამომსახველობითს საშუალებებს საერთოდ და, კერძოდ, ლექსიკურ საშუალებებსაც, ფაქიზად მოპყრობა, დიდი ცოდნით და სიფრთხილით გამოყენება

სჭირდება. ლექსიკურ შტამებს გაზეთი თავს ძნელად დააღწევს, ეს მისი ენის თავისებურებაა, მაგრამ სწორედ შტამებისა და გამომსახველობითი საშუალებების კანონზომიერი მონაცვლეობით იქმნება სპეციფიკური საგაზეთო სტილი. რაიმე მხრივ გადაჭარბება აუფერულეს, ზემოქმედების ძალას უკარგავს ამ სტილს<sup>1</sup>.

გაზეთის ენაში მეტაფორულად ნახმარ სიტყვებს, გამოთქმებს, თუ სხვა საშუალებებს ექსპრესემებს უწოდებენ<sup>2</sup>. ექსპრესემები შეიძლება იყოს ლექსიკური, ფრაზეოლოგიური, ზოგჯერ გრამატიკული ხასიათისაც. ასეთ ექსპრესემებს ფართოდ იყენებენ ქართულ პრესაშიც. ექსპრესემები კი ყოველთვის ვერ აღწევს მიზანს, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ ყოველთვის ვერ არის დატული ზომიერება მათს გამოყენებაში, მეორეც, ყოველთვის არაა გათვალისწინებული სიტყვის სემანტიკური შესაძლებლობანი. ექსპრესემებად ნახმარი სიტყვა, თუ კი იგი თვითნებურად და დაუკვირვებლადაა გამოყენებული, მიზანს ვერ მიაღწევს. მეტაფორულად ნახმარი სიტყვა ერთ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება მოხდენილი და მოხერხებული იყოს, არც მისი მნიშვნელობა იყოს გაბუნდოვანებული, მაგრამ, როცა იგი შემდეგ უთვალავჯერ მეორდება ყოველდღიურად, ყველა გაზეთის ყოველგვარი ხასიათის მასალაში, შტამებად იქცევა და ეკარგება გამომსახველობითი ძალა, აგრეთვე, რაც მთავარია, ხშირად მახინჯდება მისი მნიშვნელობა.

სანიმუშოდ შეიძლება განვიხილოთ **სტარტ** სიტყვის გამოყენება თანამედროვე ქართული პრესის ენაში.

**სტარტ** (ინგლ. start) სიტყვის ძირითადი მნიშვნელობაა იმ ადგილისა თუ ხაზის აღნიშვნა, საიდანაც იწყება შეჯიბრება. სპორტის ენაში იგი დამკვიდრდა როგორც ტერმინი სირბილში, ცურვაში, ნიჩბოსნობაში... სპორტული შეჯიბრების დაწყების მომენტის აღსანიშნავად; ე. ი. იხმარება სპორტული შეჯიბრებების დაწყების მომენტის აღსანიშნავად; დაწყება ივარაუდება რაიმე გარკვეული ხაზიდან, ადგილიდან.

„სტარტთან“ დგებიან ლენინის სახელობის რაიონის სკოლების მოსწავლე ვაჟები („სახ. გან.“).

გამოთქმები — **სტარტზეა**, **სტარტი აიღო** პირდაპირი მნიშვნელობით შეიძლება ასე გავიგოთ: **სტარტის** (დაწყების) **ხაზზეა**, **სტარ-**

<sup>1</sup> Костомаров В. Г., Русский язык на газетной полосе, М., 1971, გვ. 90—148.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 160—179.

ტის (დაწყების) ადგილი, ხაზი გადალანა. სპორტული შეჯიბრებების დაწყება ასეთი ადგილის გადალახვას ვარაუდობს, ასეთი გამოთქმები ჩვეულებრივია.

სერდლოვსკოში გაიმართა სეზონის პირველი დიდი შეჯიბრება სათხილამურო სპორტში. კარგად აიღეს სტარტი ახალ სეზონში ჩვენმა „ოქროს“ ოლიმპიელებმა („კომ.“).

გადატანითი მნიშვნელობით სტარტ სიტყვა და შესიტყვება სტარტი აიღო იხმარება ყველანაირი სპორტული შეჯიბრების დაწყების მომენტის აღსანიშნავად და ასეთი გამოყენება შესაძლებლადღაა მიჩნეული<sup>3</sup>.

სტუდენტ ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა ნაკრებმა წარმატებით აიღო სტარტი („ლელო“). დღეს აქ სტარტი აიღო 25-ე მსოფლიო ჩემპიონატმა ძალოსნობაში („ლელო“). ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის აუზში სტარტი აიღო ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის სპორტსმენთა ტურნირმა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე („ლელო“). გუშინ მოსკოვში ლუენიკის სპორტის სასახლეში სტარტი აიღო ფიგურისტთა V საერთაშორისო ასპარეზობამ... („ლელო“). დღეს აქ სტარტი აიღო XIX საჭადრაკო ოლიმპიადამ („ლელო“). ადრიატიკის ზღვის კუნძულ ხვარზე სტარტი აიღო წყალბურთელთა დიდმა საერთაშორისო ტურნირმა („ლელო“). გუშინწინ თბილისსა და აშხაბადში სტარტი აიღო „ა“ კლასის II ჯგუფის ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო პირველობამ („ლელო“).

ქართულისათვის არაბუნებრივია სტარტი მიეცა (=დაწყების ნიშანი მიეცა, დაიწყო). იგი არ გამოდგება არასპორტულ თემებზე საუბრისას.

ამას წინათ ბათუმში სტარტი მიეცა ველოსიპედისტთა ტრადიციულ ტურნირს კომკავშირის საქალაქო კომიტეტის გარდამავალ პრიზზე („ლელო“). გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სტარტი მიეცა მსოფლიოს მე-10 ჩემპიონატს ფეხბურთში („ახ. კომ.“). გუშინწინ ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე სტარტი მიეცა აქარის საოლქო სპარტაკიადას („ლელო“). შარშან სტარტი მიეცა ევროპის ახალგაზრდა მოკრივეთა ნაკრები გუნდების ტურნირს („ლელო“).

ასეთ შემთხვევაში, თუმცა ასე თუ ისე შენარჩუნებულია ერთგვარი კავშირი სტარტ სიტყვის პირვანდელ მნიშვნელობასთან, მაგ-

<sup>3</sup> Трудности русского языка, словарь-справочник, М., 1974, с. 432—433; В. П. Фелицина, Старт и финиш, «вопросы культуры речи», 8, 1967, гв. 194—199.

რამ გამოთქმა არაბუნებრივია ქართული მარტივი და ბუნებრივი დაიწყო ფორმის ადგილას.

სხვა შემთხვევებში გაუგებარია სტარტ სიტყვისა თუ მისი მონაწილეობით შედგენილი შესიტყვების გამოყენება ისეთი ფაქტების აღსანიშნავად, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვთ სპორტთან. ასეთი გადატანითი მნიშვნელობით ხმარება გაუმართლებელი ჩანს:

სტარტზეა ახალი წელი („სოფლის ცხოვრება“). პოლონეთის გამოფენის სტარტი („კომ.“). ჯანმრთელობის სტარტები („ახ. კომ.“, სათ.) კოლმეურნეობას ჰყავს... საქმის მოყვარული გლეხკაცები, რომლებიც ადრე გაზაფხულზე იღებენ შრომითს სტარტს („კომ.“).

დასახელებულ მაგალითებში აღარ ჩანს სტარტ სიტყვის კავშირი ძირითად მნიშვნელობასთან, რომელიც, ეტყობა, ყოველთვის ნათლად არ არის გააზრებული. ამიტომ არის, ალბათ, რომ სტარტს ზოგჯერ ეპითეტებიც ახლავს: კარგი, ცუდი, ჩინებული, დიდი...

უკრაინელებმა გ. პოლიშჩუკმა, ი. გერასიმენკომ და თბილისელმა თ. მეგრელიშვილმა ჩინებული სტარტი აიღეს („ლელო“). შვიდწლედის დამამთავრებელი წლის დავალების შესასრულებლად კარგი სტარტი აიღეს ჩვენმა მწველავებმა („სოფლ. ცხოვრ.“). დიდი სტარტისათვის მზად არიან მექანიზატორებიც („სოფლ. ცხოვრ.“). საამაყო ფინიში, სასახელო სტარტი! („კომ.“). კარგი სტარტი აიღეს ბრიგადებმა („მებრძ.“). კარგი სტარტი აიღეს ხუთწლედის დამამთავრებელ წელს... რაიონული სამმართველოების კოლექტივებმა („ახ. კომ.“).

ამგვარ მეტაფორად სტარტ სიტყვის გამოყენება უხერხული ჩანს, ზოგჯერ მარტო უხერხულობა კი არა, ყველაფერ ამას სიტყვის მნიშვნელობის დამახინჯებაც მოსდევს. ბუნდოვანია, მაგალითად, რას უნდა ნიშნავდეს გამოთქმები: ჯანმრთელობის სტარტები, გამოფენის სტარტი, საგაზაფხულო სტარტი და სხვ.

„პრავდის“ პრიზებმა სტარტი აიღო“ („ლელო“) ალბათ, უნდა ნიშნავდეს: „პრავდის“ პრიზის მოსაპოვებლად შეჯიბრი დაიწყო. ასეთი მეტაფორა არაფერს რგებს გაზეთის სტილს და ამგვარ საშუალებებზე ხელის აღება ჯობს.

გაუაზრებლად, დაუფიქრებლად არის ნახმარი სტარტ სიტყვა შემდეგ მაგალითებში:

4 სათაური, წერილი ეხება ხუთწლედის დამამთავრებას და ახალი ხუთწლედის დაწყებას.

„როგორ არიან მომზადებული ჩვენი სპორტსმენები დიდი სტარტებისათვის — საქართველოსა და სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადებისათვის“ („ლელო“). აქ სტარტები — სპარტაკიადების დაწყებას გულისხმობს. „მექანიზატორები გულმართალნი მოვიდნენ სტარტზე“ („გამარჯვ.“). სტარტზე აქ ნიშნავს მუშაობის დასაწყებად, სამუშაოდ.

გაზაფხულის მზე მოთხილამურეებს აიძულებს თავშესაფარი პოლარული წრის მიღმა ეძიონ. წლებანდელი ზამთრის უკანასკნელი სტარტები სწორედ იქ ჩატარდება („ლელო“). მათ იმედი აქვთ, რომ მწვანე კონტინენტის მოცურავეები... გადამწყვეტ სტარტებზე შედეგებს კიდევ უფრო გაზრდიან („ლელო“). საქართველოს მოცურავეების მორიგი სტარტი იქნება გაზეთ „კომსომოლსკაია პრადის“ პრიზზე გამართული ზონალური ტურნირი („ლელო“).

სტარტ სიტყვის უმარტებულო ხმარების ფაქტი აღნიშნულია რუსული პრესის ენაშიც<sup>5</sup>.

სტარტ სიტყვის საპირისპირო ფინიშ სიტყვაც გადატანითი მნიშვნელობით ხმარების დროს ამგვარადვე იფართოებს მნიშვნელობას.

ფინიშ-ი (ინგლ. finish) უკანასკნელი, გადამწყვეტი ნაწილია სპორტული შეჯიბრებისა ან დისტანციის უკანასკნელი პუნქტი სისწრაფეში შეჯიბრებისას. ჩვეულებრივად იგი იხმარება ისეთი სპორტული შეჯიბრებების შესახებ საუბრისას, რომლის დროსაც მანძილია გადასალახავი.

ფინიშთან... პირველი მიიჭრა... ჩემპიონი („ლელო“).

თანამედროვე პრესის ენაში ეს სიტყვა იხმარება არა მარტო ისეთი სპორტული შეჯიბრებების მიმართ, როცა ივარაუდება შეჯიბრება სისწრაფეში მანძილის დასაფარავად, არამედ საერთოდ ყოველგვარი სპორტული შეჯიბრების მიმართ და, ამდენად, ამ სიტყვამ შეიძინა საერთოდ დასასრულის მნიშვნელობა.

ასპარეზობის ფინიში („კომ.“, სათ.) ასპარეზობის დასასრული.

იხმარება ამ სიტყვის -ზე თანდებულიანი ფორმაც ფინიშზე, რაც რუსულის კალკი ჩანს.

ფინიშზე მეორე იყო რაისა სმეტანინა („კომ.“).

უფრო ბუნებრივია ქართულისათვის ამ შემთხვევაში -თან თანდებულიანი ფორმა: ფინიშთან პირველი იყო.

<sup>5</sup> Работа над словом, М., 1971, гл. 80.

ასევე რუსულის მიხედვითაა ქართულში ნახმარი გამოთქმა **ფინიშის სწორზე გავიდა** (... на финишную прямую), რაც ნიშნავს შეჯიბრების ბოლო ეტაპს ისეთი სპორტული შეჯიბრებების დროს, როცა მანძილის დაფარვა სწორხაზობრივად კი არ ხდება, არამედ წრეებად. ბოლო წრის მანძილის დაფარვას რომ დაიწყებს სპორტსმენი და, ამდენად, უახლოვდება ფინიშის ხაზს თუ ადგილს, მაშინ ამბობენ: **გავიდა ფინიშის სწორზე**, ე. ი. **ფინიშის სწორ ხაზზე**.

ეს ისედაც რთული გამოთქმა ზოგჯერ სხვაგვარი შეჯიბრების მიმართაც არის გამოყენებული და ამით აზრი გაბუნდოვანებული:

„ა“ კლასის II ჯგუფის წყალბურთელთა საკაემირო ასპარეზობის პირველი წრე ფინიშის სწორზე გავიდა („**ლელო**“).

კალკია გამოთქმა **ფინიში ჰქონდა**, რომელიც ასევე არაბუნებრივია ქართულისათვის:

ზეეფელდის მთებში ფინიში ჰქონდა ვეთა სათხილამურო რბოლას 15 კილომეტრზე („**თბილ**“).

ასეთ შემთხვევაში შეიძლებოდა უფრო მარტივად და ბუნებრივად თქმულიყო: **დამთავრდა**, **დასრულდა**.

**ფინიშ** სიტყვა და მისი მონაწილეობით შედგენილი გამოთქმები გამოყენებულია გადატანითი მნიშვნელობითაც ისეთ კონტექსტებში, რომელთა შინაარსს სპორტთან არავითარი კავშირი არა აქვს. ამგვარი ექსპრესივები მიზანს ვერ ამართლებს, რამდენადაც გვაქვს გადახრა ძირითადი მნიშვნელობისაგან. ასეთი გადახრებისათვის მხარის დაჭერა ძნელია.

საამაყო ფინიში, სასახელო სტარტი! („**კომ**“)<sup>6</sup>. კარგ სტარტს ხომ კარგი ფინიში უნდა ამშვენებდეს („**სოფლ. ცხოვრ**“). უხვი დოვლათის შემქმნელები ჩვენი კოლმეურნეები არიან, რომლებიც ფინიშზე, შეიძლება ითქვას, პირველნი მივიდნენ („**კომ**“). საგაზაფხულო სტარტი კარგად აიღეს ლაგოდების რაიონის მშრომელებმა, მათი გაღწეულიება ფინიშის სასურველი იყო („**სოფლ. ცხოვრ**“).

**სტარტ** და **ფინიშ** სიტყვების მაგალითზე ნათლად ჩანს, თუ როგორ ვრცელდება სპორტულ თემებზე საუბრისას სახმარი სიტყვები სხვა სფეროებშიც, როგორ იძენს სიტყვა გადატანათს, მცდარ მნიშვნელობას. სიტყვათა ამგვარად ხმარებით გატაცების ტენდენ-

<sup>6</sup> სათაური-რუბრიკა, რომელიც აერთიანებს სამ წერილს ხუთწლეულის წარმატებით დამთავრებისა და ახალი ხუთწლეულისათვის მზადების შესახებ.

ციას შეჩერება და შენელება უნდა, თორემ ამან შეიძლება მიგვიყვანოს სიტყვის მნიშვნელობის დამახინჯებამდე, როგორც დასახელებულ ზოგ მაგალითში ჩანდა. ამ მაგალითებში თუ სპორტული წერილების ენიდან იყო გადასული ეს სიტყვები სხვა თემებზე დაწერილი წერილების ენაში, გვხვდება საპირისპირო შემთხვევებიც, როცა სპორტულ თემებზე საუბრისას გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებულია, მაგალითად, ხელოვნების თემებზე საუბრისას სახმარი სიტყვები. ასეთებია აკორდი, დუეტი, კვარტეტი, დირიჟორი, ლაურეატი და სხვ.

დასკვნითი აკორდი („ლელო“)<sup>7</sup>.

უკანასკნელი აკორდი („კომ.“ სათ.)<sup>8</sup>.

დიდი ფეხბურთის ლაურეატები („ახ. კომ.“, სათ.).

ამგვარი გამოყენების საწინააღმდეგო შეიძლება არავის არაფერი ჰქონდეს. გაზეთის დანიშნულება და სტილი შეიძლება ამართლებდეს ამგვარ ექსპრესივებს, მაგრამ, როცა ასეთ შემთხვევაში დამახინჯებულია სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა, ექსპრესივა უადგილოა და გაუმართლებელი ხდება. ასე უმახინჯდება მნიშვნელობა დუეტ და კვარტეტ სიტყვებს.

დუეტ-ი (იტ. duetto) 1. მუსიკალური ნაწარმოები ორი ხმისათვის ან ორი საკრავისათვის და 2. ასეთი ნაწარმოების შესრულება ორი მომღერლის მიერ ან ორი საკრავის საშუალებით. ორხმა სიმღერა ან მუსიკა (ქველ).

სპორტულ თემებზე წერისას ხშირად იხმარება წყვილი შემსრულებლის (მაგალითად, ციგურებით სრიალი) აღსანიშნავად. მაგ. ირ. როდნინასა და ალ. ზაიცევის შესრულებას ხშირად ახასიათებენ, როგორც „შეუდარებელ დუეტს“. ამგვარი გამოყენებისას სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა (ორის მიერ შესრულება) დაკუთვლია.

დაიწყო წყვილთა ასპარეზობა ჩოგბურთში ქალთა შორის. ჩვენმა დუეტმა ტიუ პარმასმა და მარია სობოლმა მოუგეს (!) დასავლეთ გერმანიის წყვილს („კომ.“).

მაგრამ დუეტ სიტყვას ზოგჯერ ხმარობენ შეჯიბრებაში პირველ და მეორე ადგილებზე გამოსულ სპორტსმენთა ებითეტად, ე. ი. უბრალოდ წყვილის მნიშვნელობით, ოღონდ ისეთი წყვილისა, რომ-

7 სათაური. წერილი ეხება ვარნის ვაჟთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის საბოლოო შედეგებს.

8 წერილი ეხება დუშანბეში გამართულ შეჯიბრს ცურვაში.

ლებიც ერთად კი არ იბრძვიან საერთო მიზნისათვის, არამედ ერთ-მანეთის მეტოქეები არიან ფაქტიურად.

ჩემპიონთა დუეტი („ლელო“, სათ.).

რიგის არმიელები კი იმისათვის იბრძვიან, რომ ერთხელ და სამუდამოდ და-  
აღწიონ თავი აუტსაიდერთა დუეტთან მეზობლობას („ლელო“).

ვაჟთა წყვილების თანრიგში 16 დუეტი მონაწილეობს („ლელო“).

**დუეტ** სიტყვის ამგვარი გამოყენება დაუშვებლადაა მიჩნეული რუსულ ენაშიც<sup>9</sup>.

**კვარტეტ**-ი (იტ. quartetto) მუსიკალური ტერმინია ოთხ ხმაზე ან ინსტრუმენტზე შესასრულებელი ნაწარმოებისათვის; ანდა ასეთი ნაწარმოების შემსრულებელთა ჯგუფისათვის, რომელიც აგრეთვე ოთხი წევრისაგან შედგება.

სათაურით „ორი კვარტეტი“ გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდი-  
ლი იყო სტატია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ შეჯიბრებაში ვაჟ-  
თა შორის უძლიერესის სახელი მოიპოვა ოთხმა მონაწილემ, ხოლო  
„კვარტეტის“ შემადგენლობა ქალთა შორის შემდეგი თანმიმდევ-  
რობით განაწილდა...“ (და ჩამოთვლილია გვარები).

**კვარტეტ** სიტყვის გამოყენება დასახელებულ სიტუაციაში მხო-  
ლოდ იმიტომ, რომ საუბარია გამარჯვებულ ოთხ მონაწილეზე, გაუ-  
მართლებელია, რადგანაც ძირითადი მნიშვნელობა დამახინჯებულია<sup>10</sup>.

ამგვარი მეტაფორები არაფერს მატებს წინადადებას გამომსახ-  
ველობის თვალსაზრისით, პირიქით, ზოგჯერ კიდევ აბუნდოვანებს  
აზრს.

თანამედროვე პრესის ენაში გადატანითი მნიშვნელობით სიტყ-  
ვათა ხმარების სხვა შემთხვევებიდან აღსანიშნავია **აპოგეა**, **ორბიტა**,  
**ეკვატორ**... გეოგრაფიულ თუ ასტრონომიულ ტერმინთა გამოყენება  
მათთვის არაბუნებრივ მეზობლობაში და გარემოებაში.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი მეცნიერებისა და ტექნიკის არნახული გან-  
ვითარების, ტექნიკური პროგრესის შეუჩერებელი წინსვლისა და აღამიანის  
შრომის აპოგეის ნათელი დადასტურებაა („სპ. და ცხოვრ.“).

**აპოგეა** (ბერძნ. apogeion) ასტრ. 1 მთვარის ორბიტის წერტი-  
ლი, რომელიც ყველაზე მეტადაა დაშორებული დედამიწას. 2. წიგნ-  
რაიმე პროცესის უმაღლესი წერტილი.

<sup>9</sup> Трудности русского языка, გვ. 130—132.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 191—192.



ამდენად, ნათელია ამგვარი გადატანითი მნიშვნელობით ასეთ კონტექსტებში ამ სიტყვის ხმარება: **მწერლის შემოქმედებითი განვითარების აპოგეა, ადამიანის გონების განვითარების აპოგეა და სხვ.**, მაგრამ **ადამიანის შრომის აპოგეა** ნათელი გამოთქმა არაა. აქ **შრომის აღმავლობაზეა** საუბარი და ეს სიტყვა ვერაა მოხერხებულად შერჩეული.

ჩვენი დედაქალაქი სატელევიზიო ფილმების VI საკავშირო კინოფესტივალის ორბიტაზეა („კომ.“).

**ორბიტა** (ლათ. orbita — ბორბლის კვალი, გზა) ასტრ. 1. ციური სხეულის სამოძრაო გზა; 2. ანატ. თვალის ბუდე; 3. გადატ. სფერო, გარემო, წრე. **რისამე ორბიტაში მოქცევა** გადატანით **რისამე გავლენის სფეროში მოქცევა**.

დასახელებულ მაგალითში **ორბიტა** სიტყვის მნიშვნელობა არ შეეფერება იმ სიტუაციას, რაც გადმოცემულია (რისი გადმოცემაც სურთ) წინადადებაში. ავტორს იმის თქმა სურს, რომ კინოფესტივალი მიმდინარეობს ჩვენს დედაქალაქში. მარტივად გადმოსაცემი ამბავი მხატვრულად თქმის სურვილის გამო გაუგებარი ხდება.

ასეთივეა:

აბა ის მწერალი რა მწერალია, თუ თავის გარშემო მყოფ დადებით და უარყოფით ადამიანთა სახეები კალმის ორბიტის მიღმა დარჩება („სოფლ. ცხოვრ.“).

მეოცე საუკუნის პროგრესული აზროვნების ორბიტაში დღეს ადამიანი ღვას... („ცისკ.“).

**ეკვატორი** (ლათ. aequator — მათანასწორებელი) გეოგრ. თეორიულად გავლებული წრეხაზი, რომელიც დედამიწას ყოფს ორ მათანასწორ (ჩრდილოეთ და სამხრეთ) ნახევარსფეროდ. ადგილი, სადაც ეს თეორიული წრეხაზი გადის.

სპორტულ თემებზე საუბრისას ეს სიტყვა შუალედის, შუა ადგილისა თუ მომენტის მნიშვნელობით იხმარება მეტაფორულად:

მან ტურნირის ეკვატორიც ლიდერად გადასერა („ლელო“).

გუშინწინ შედგა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო მატჩები. გათამაშების ეკვატორი განვლილია („ლელო“).

სამი ტური ჩემპიონატის ეკვატორია ფაქტიურად, რომელმაც გარკვეული შუქი მოჰფინა ჯგუფური ტურნირების შედეგებს („ლელო“).

უცხო სიტყვა **ფავორიტ**-ი (ლათ. favor-იდან — კეთილგანწყობილება) ნიშნავს 1. ადამიანს, რომელიც სარგებლობს გავლენიანი, მა-

ლალი თანამდებობის პირის კეთილგანწყობილებით, მოსარჩლეობით, მფარველობით, სიყვარულით; 2. საერთოდ ვისიმე საყვარელს, გამორჩეულ პირს. პირველი მნიშვნელობით ეს სიტყვა ნაკლებადლა იხმარება, მეორე მნიშვნელობით კი დამკვიდრდა სპორტულ თემებზე საუბრისას.

თანამედროვე პრესის ენაში ეს სიტყვა იხმარება შეჯიბრების დაწინაურებული სპორტსმენის აღსანიშნავად<sup>11</sup>.

შეჯიბრების ფავორიტები იყვნენ სსრ კავშირის დაჰსახურებული მწვრთნელის ვ. ზაკის აღზრდილნი („ლელო“).

ასევე იყვნენ განწყობილი ბრძოლისათვის დანარჩენი ფავორიტებიც („ახ. კომ.“).

ვინ ჩაითვალს გათამაშების მთავარ ფავორიტად? („თბილ.“). ტურნირს არც აშკარა ფავორიტები ჰყავს და არც აშკარა აუტსაიდერები („კომ.“).

**ფილატელისტი** ფილატელიის მოყვარული, მარკების, ფულის ნიშნებისა და მისთანათა კოლექციონერია.

„**თბილი სიტყვების ფილატერისტი**“(!) ასეთი სათაურით წერილი მასწავლებლის შესახებ დაბეჭდილი იყო ზუგდიდის სარაიონო გაზეთ „მებრძოლში“. ეს არის შედეგი ნააზრევის მხატვრულად და უჩვეულოდ თქმის სურვილისა, მაგრამ უცხო სიტყვის ზუსტი მნიშვნელობის გაუთვალისწინებლად. ამასთან, ორთოგრაფიული შეცდომაც იყო დაშვებული.

**ფრონტ** (ფრანგ. front, ლათ. frons — შუბლი) სიტყვას თანამედროვე ქართულში აქვს მნიშვნელობის ასეთი ნიუანსები: 1. მოწინააღმდეგეთა საომარი მოქმედების არე, ბრძოლის ველი; 2. ერთი ზელმძღვანელობის განკარგულებაში მყოფი არმიების ჯგუფის სამოქმედო რაიონი (კავკასიის ფრონტი); 3. მწკრივებად დაწყობილი სამხედრო ნაწილის წინა მხარე // სამხედრო წყობილება; 4. გადატ. საზოგადოებრივ ძალთა გაერთიანება საერთო მოქმედებისათვის; 5. გადატ. სფერო, უბანი სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი საქმიანობისა; 6. სპეც. გადატ. სამუშაოს, მოწყობილობის მზადყოფნა, მომზადება მუშაობის საწარმოებლად (**ქეგლ**).

არსებობს ამ სიტყვის მონაწილეობით შექმნილი იდიომატური გამოთქმები **ფრონტს შეიცვლის, ორ ფრონტზე იბრძვის, ფართო ფრონტით**.

<sup>11</sup> Ожегов С. И., Словарь русского языка, М., 1964, გვ. 834; «Русская речь», № 1, 1977, გვ. 99—100.

**ფრონტ** სიტყვის მნიშვნელობათა ამ ნიუანსების გათვალისწინების მიუხედავად მაინც ზედმეტად მეტაფორული გვეჩვენება ასეთი გამოყენების შემთხვევები:

მის მეზობლად სამუშაოთა ფრონტს გაშლის სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო („ლიტ. საქ.“).

ხშირად ასეც ხდება — ძირითადი სამუშაოებისათვის ფრონტი არ არის, მაშინ ვარდენი, როგორც ღურგალი, ისე შრომობს („ჭიათ. მად.“).

ორივე შემთხვევაში **ფრონტ** სიტყვა ზედმეტია გადმოსაცემი შინაარსისათვის. საკმარისი იყო პირველ შემთხვევაში **სამუშაოებს გაშლის**, მეორეში — **ძირითადი სამუშაო როცა არ არის...**

**იმპორტი** და **ექსპორტი** ერთიმეორის საპირისპირო სიტყვებია მნიშვნელობით და შესაბამისად აღნიშნავენ საქონლის შემოტანას, შემოზიდვას საზღვარგარეთიდან და გატანას საზღვარგარეთ. აღმიათა მიმართ ამ სიტყვების ხმარება, თუნდაც მეტაფორულად, უხერხული ჩანს.

გვხვდება კი ასე:

თუ კი დღეისათვის სადმე წარმოებს ფეხბურთელთა **იმპორტი**, ეს, პირველ ყოვლისა, მექსიკაა („ლელო“)<sup>12</sup>.

**პრაქტიკა** (ბერძნ. praktikos — საქმიანი, მოსაქმე) სიტყვით აღინიშნება: 1. აღმიათა მოქმედება საზოგადოებრივი წარმოების პროცესში ბუნებისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარდასაქმნელად; წარმოადგენს თეორიის საფუძველს, ჭეშმარიტების საზომს; 2. სტუდენტების ან სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეების მუშაობა, მეცადინეობა წარმოებაში, ლაბორატორიაში... თეორიული ცოდნის განმტკიცებისა და ცხოვრებაში მისი გამოყენების მიზნით; 3. გამოცდილება, დახელოვნება რაიმე საქმიანობაში; 4. მუშაობა, საქმიანობა ამა თუ იმ დარგში (**ქეგლ**).

არც ერთი აქ დასახელებული მნიშვნელობა არაა შესაფერისი **პრაქტიკა** სიტყვისათვის შემდეგ მაგალითებში:

**პრეტენზიების შესწავლის პრაქტიკა**მ დაგვანახვა, რომ ასორტიმენტისა და მოდელების განახლებაზე მომხმარებელი პრეტენზიის არ გვიყენებს („კომ.“).

საქალაქო საბჭომ თავის სესიაზე კატეგორიულად მოსთხოვა იმ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, რომლებიც გაუწმენდავ ჩამდინარე წყლებს კვლავ მტკვარს უერთებენ, გადამწყვეტი ღონისძიებანი განახორციელონ ამ მავნე **პრაქტიკის** აღმოსაფხვრელად („კომ.“).

<sup>12</sup> საუბარია მექსიკაში უცხო ფეხბურთელთა დაქირავების შესახებ.

პირველ მაგალითს პრაქტიკა სიტყვის ის მნიშვნელობა უფრო შეეფერება, რომელიც გამოცდილებას აღნიშნავს, მეორეს კი — საქმიანობა, მაგრამ ორივე შემთხვევაში ამ უცხო სიტყვის გარეშეც აზრი ნათელია:

1. პრეტენზიების შესწავლამ დაგვანახვა...

2. გადამწყვეტი ღონისძიებანი განახორციელონ ამის აღმოსაფხვრელად.

მხოლოდ უცხო სიტყვების გამოყენებით გატაცება შეიძლება იყოს მიზეზი ქვემოთ დასახელებულ წინადადებებში დისლოკაცია, ფორპოსტი, ადაპტაცია და სხვა სიტყვების ხმარებისა.

დაუხტებულია რაზმების, საწარმოო ბრიგადების და შრომისა და დასვენების ბანაკების დისლოკაციაც („სკ. და ცხოვ.“).

ფრანგ. dislocation — სამხედრო ტერმინია და აღნიშნავს ძალების განლაგებას გარკვეულ ტერიტორიაზე. დასახელებულ სიტუაციაში ბუნებრივი იქნებოდა განლაგება სიტყვის გამოყენება.

საქართველო მუდამ იყო ამიერკავკასიის ხალხთა ძმობის საიმედო ფორპოსტი („სკ. და ცხოვ.“).

გერმ. Vorposten სამხ. ტერმინია, აღნიშნავს მოწინავე გამაგრებულ პოზიციას, ავანპოსტს. გადატ. მოწინავე, რისამე წამომწყები, დასაყრდენი.

დასახელებულ მაგალითში აღნიშნავს ძმობის დასაყრდენს, ბურჯს. ამ კონტექსტში უცხო სიტყვა ვერაა მოხერხებული.

საწარმოო პრაქტიკის პერიოდში კომკავშირული ორგანიზაციების ერთობლივი მუშაობის ძირითადი ამოცანაა საწარმოს კოლექტივთან მოსწავლეთა კოლექტივის სოციალური ადაპტაციისათვის სათანადო პირობების შექმნა („სკ. და ცხოვ.“).

ლათ. adaptatio — მორგება, შეგუება, შეჩვევა გარემოსთან.

აბა აუცილებელია უტილიტარული რაღაც ვუყილოთ“ („საქ. ქალი“).

ლათ. utilitas-იდან — გამოყენებითი, სასარგებლო, პრაქტიკული.

აქედან დაიწყო თავისი ტრიუმფი მზესუმზირას ზეიმა („ლენინელი“).

ლათ. triumphus — 1. საზეიმო შეხვედრა; 2. ბრწყინვალე წარმატება.

მზესუმზირის ზეთთან დაკავშირებით ბრწყინვალე წარმატების მნიშვნელობით **ტრიუმფ** უცხო სიტყვის გამოყენება უადგილოა აზრობრივადაც. მთელი წინადადება ექსპრესიულადაა აგებული.

მორიგი ფოტოვიქტორინა ამჟერად ღარიბი გამოდგა, მაგრამ წინანდელთან შედარებით გაფართოვდა **მონაწილეთა გეოგრაფია** („თბილ.“).

სტატიის ავტორს ამ წინადადებით იმის თქმა სურს, რომ ფოტოვიქტორინის მონაწილეები უფრო მეტი ქვეყნის წარმომადგენლები არიან, ვიდრე უწინ. ასეთი სიტუაციისათვის **გეოგრაფია** სიტყვის ხმარება გაუმართლებელია.

ეს ყველაფერი კარგი და საჭირო საქმეა, მაგრამ აი სხვა მაგალითები **ანტი-გამწვანებისა** („საბჭ. ხელ.“).

ამ შემთხვევაში, ჯერ ერთი, გაუმართლებელია **ანტი-** (ბერძნ. anti) მაწარმოებელი პრეფიქსის ხმარება გამწვანება სიტყვასთან, მეორეც, ნათელი არაა, რას უნდა გულისხმობდეს გამწვანების საწინააღმდეგო, რა აზრი უნდა იყოს **ანტიგამწვანება** სიტყვაში.

ყურძნის უხვი მოსავლის დიდი რეზერვია **მორწყვა** („ლენ. გზით“).

ფრანგ. **réservé** (ლათ. **reservo-**დან — ვიზოგავ, ვინახავ) აღნიშნავს 1. გამოუყენებელ შესაძლებლობებს, რესურსებს, მარაგს; 2. სამხ. თადარიგი. ჯარის ნაწილი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებენ.

ნათელი არაა, რა აზრით უნდა გამოეყენებინა სტატიის ავტორს **რეზერვ** სიტყვა დასახელებულ კონტექსტში.

ვისურვებდი, აგრეთვე, რომ ეს გამოფენა არ ყოფილიყო უპრეცედენტო შემთხვევა, რომ ამგვარი შემოქმედებითი ანგარიში კეთილ ტრადიციად დამკვიდრდეს („ლიტ. საქ.“).

**უპრეცედენტო** ნიშნავს, რასაც **პრეცედენტი** არა ჰქონია, უმაგალითო. ლათ. **praecedens** წინამავალი. წიგნური სიტყვაა და აღნიშნავს შემთხვევას, რომელიც არის ნიმუში ან გამართლება შემდეგდროინდელი მსგავსი შემთხვევებისათვის. ამ მნიშვნელობით უმეტესად სასამართლოს ენაში იხმარება.

მოცემულ შემთხვევაში დამახინჯებულია ამ სიტყვის მნიშვნელობა. ავტორს სურს თქვას, რომ ამგვარი გამოფენები ტრადიციუ-

ლად დამკვიდრდეს, ე. ი. ეს გამოფენა თვით იყოს პრეცედენტი (და არა უპრეცედენტო) სხვა გამოფენებისათვის.

**პროდუქტი** (ლათ. productus-დან წარმოქმნილი, ნაწარმოები) არის 1. წარმოების პროცესში ადამიანის შრომით შექმნილი საგანი, რომელიც გარკვეულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს; 2. ქიმ. ნივთიერება, რომელიც მიიღება სხვა ნივთიერებიდან ქიმიური წესით; 3. გადატ. შედეგი, ნაყოფი რისამე; 4. პროდუქტები — სურსათ-სანოვაგე; 5. რძის პროდუქტები — რძის ნაწარმი.

**პროდუქტ** სიტყვის ამ მნიშვნელობათა გათვალისწინებით არც ღვინის, არც შავქლიავის მიმართ არ ითქმის, პროდუქტიაო.

შავქლიავი სამკურნალო პროდუქტია („სოფლ. ცხოვ.“).

— სამკურნალო საშუალებაა, სამკურნალო ნაყოფია.

ღვინო არა მარტო თრობის პროდუქტია („საქ. ქალი“).

— თრობის საშუალება.

ასეთ შინაარსობრივ შეუსაბამობათა მიზეზი მეტაფორულად აზრის გამოხატვის სურვილიც უნდა იყოს სხვა მიზეზებთან ერთად.

მეტაფორულად ხმარების შემდეგ უნდა გავრცელებულიყო, ალბათ, სიტყვა **ავტორი** ზოგჯერ ძალზე შეუფერებელი შინაარსის გადმოსაცემად.

**ავტორი** (ლათ. au(c)tor), არის შემქმნელი რაიმე წარმოებისა (ლიტერატურულისა, მხატვრულის, მუსიკალურის, მეცნიერულის), გამომგონებელი. უადგილო ჩანს ამ სიტყვის გამოყენება ისეთ შემთხვევებში, როცა გამორიცხულია შექმნის იდეა. **ბურთის ავტორი** ან **გოლის ავტორი** თავიდან მეტაფორულად იხმარა, ალბათ, რომელიმე კომენტატორმა, შემდეგ სხვებმაც არ დაიწუნეს ასეთი შეხამება სიტყვებისა. ასე გამჭრქალდა **ავტორ** სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა. თანამედროვე ქართული პრესის ენაში დამკვიდრდა **გოლის ავტორი**, **ბურთის ავტორი**, **დარტყმის ავტორი...** გამოთქმები უმართებულოდ.

ოთხი ბურთის ავტორი (ახ. კომ.“, სათ.). 5-5 ვატანილი ბურთის ავტორები არიან... („თბილ.“). საპასუხო ბურთის ავტორი იყო წიწუაშვილი („ლელო“). მეოთხე გოლის ავტორი გახდა კუტუაძე („კომ.“). ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორი იყო ბულავინი („ლელო“).

გვხვდება რეკორდის ავტორიც, მიღწევის ავტორიც და სხვ.

შეხვედრა მიძღვნა... ნინო დუმბაძის მიერ მსოფლიო რეკორდის დამყარების 30 წლისთავს და მისი ავტორის დაბადების 50 წლისთავს („ახ. კომ.“). დამყარდა... მსოფლიო რეკორდი [სპორტის ერთ-ერთ სახეობაში]. ამ მიღწევის ავტორია ლეოველი ჟურნალისტი („ლელო“).

ყველა დასახელებულ სიტუაციაში ავტორ სიტყვის ხმარება გაუმართლებელია. უნდა იყოს შესაბამისად: ბურთის ან გოლის გამტანი, რეკორდის, მიღწევის მომპოვებელი და ა. შ.<sup>13</sup>.

გაზეთებისა თუ ჟურნალების სპეციალურ განყოფილებებში (გაზ. „სოფლის ცხოვრება“, ჟურნ. „საქართველოს ქალი“) შემოთავაზებული კულინარული რჩევა-დარიგებების ენაში ზოგჯერ შეგვხვდება ასეთი გამოთქმებიც: სადილის ავტორი, ხაჭაპურის ავტორი, მოდელის ავტორი... ასეთ შემთხვევაში ავტორ სიტყვა უადგილოდაა ნახმარი, უნდა: სადილის, ხაჭაპურის... რეცეპტის ავტორი, მოდელის შემქმნელი და სხვ.

მსგავსი მდგომარეობაა ტექნიკა სიტყვის გამოყენების თვალსაზრისით.

ტექნიკა (ბერძნ. technē-დან — ხელოვნება, ოსტატობა) 1. საწარმოო საშუალებათა ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება და ვითარდება საზოგადოებრივი წარმოების დროს; 2. მანქანების, მექანიკურ მოწყობილობათა, იარაღების ერთობლიობა; 3. დახელოვნება რაიმე საქმეში, ოსტატობა.

როგორც ჩანს, ტექნიკა ფართო მნიშვნელობის სიტყვაა.

მოხდა მოზარდთა სამედიცინო შემოწმება და უსაფრთხოების ტექნიკის შესწავლა („ხვ. და ცხოვ.“). პრაქტიკაში ინერგება ახალი რთული ტექნიკა... („ლელო“). კოლმეურნეთა დასახმარებლად მოვიდა თანამედროვე მძლავრი ტექნიკა („ივრ. განთ.“). სავაზაფხულო ხენა-თევას შევასხვედროთ ახალი ტექნიკა („კომ.“).

ვერ ვიტყვი, რომ ეს ფართო მნიშვნელობა შენარჩუნებულია ასეთ შესიტყვებებში:

მკურნალობენ ტექნიკას („გამარჯვების გზით“, სათ.). სათესლე მასალა მთლიანად მოზადებულია, არემონტებენ ტექნიკას („ახ. კომ.“). კოლმეურნეები რემონტს უკეთებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას („კომ.“).

<sup>13</sup> Трудности русского языка, словарь-справочник журналиста, М., 1974, гв. 13—16; გ. შალამბერიძე, მოვუაროთ დედაენას, გაზ. „კომუნისტი“, 28.XII.1973, გვ. 4; Горбачевич К. С., Нормы современного русского литературного языка, М., 1978, гв. 69—70.

ნათელია, რომ ასეთ შემთხვევებში ტექნიკა სიტყვა კონკრეტული მანქანა-იარაღების აღსანიშნავადაა გამოყენებული უმართებულოდ. ასევეა შემდეგ მაგალითებშიც:

აქვე ნახავთ ტრაქტორს, რომელიც ტალახშია ჩაფლული. ასეთი მძლავრი ტექნიკა ასე უბატონოდ ფუჭდება („კომ.“).

— მანქანა ფუჭდება.

დღემდე ვერ შევძელით ტექნიკაზე ორცვლიანი სამუშაო დღის შემოღება („საქ. ქალი“).

— მანქანა-იარაღებთან<sup>14</sup>.

წელს ჩვენს რესპუბლიკაში ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეკეთება უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს, ვიდრე გასულ წელს („კომ.“).

სარეველებზე შეტევის წარმატებას, უწინარეს ყოვლისა, მექანიზატორები წყვეტენ, რომლებიც სათოხნ ტრაქტორებსა და სხვა ტექნიკას მართავენ („ლეწ. გზით“).

თოვლისაგან ქუჩების გასაწმენდად დღე და ღამ მუშაობს ტექნიკა („კომ.“).

მრეწველობა ერთ წელიწადში სოფლებს მიაწოდებს 312 ათასზე მეტ ტრაქტორს, ... 155 ათასზე მეტ სატვირთო ავტომობილსა და ბევრ სხვა ტექნიკას („განთ.“, ვანის).

უკვე მწუხარებში ჩააყენეს 3 ავტომანქანა, 6 ტრაქტორი და სხვა ტექნიკა (სოფლ. ცხოვ.“).

კონკრეტული მანქანის, მოწყობილობის, იარაღის აღსანიშნავად ტექნიკა სიტყვის გამოყენება უმართებულოა<sup>15</sup>. ამიტომ არ ვარგა ასეთი შეხამება სიტყვებისა: ტექნიკა ფუჭდება, ტექნიკა მუშაობს, ტექნიკის შეკეთება, ბევრი ტექნიკა, ტექნიკას მიუსხდებიან და სხვ.

ზოგჯერ უცხო სიტყვა შერწყმულ წინადადებაში ერთ-ერთ ერთ-გვაროვან წევრადაა გამოყენებული და მაშინაც ჩანს, რომ იგი მისთვის ჩვეულებრივი შინაარსით არ არის გაგებული.

კარგად ორგანიზებული სემინარი ერთგვარი ხიდის, ტრამპლინის როლს ასრულებს სასკოლო მერხიდან უმაღლეს სასწავლებელში გადასვლისათვის („სახ. ვან.“).

**ტრამპლინი** (იტალ. trampolino) — სპორტ. სპეციალური ასასლექტი მოწყობილობა სიმაღლიდან ხტომისას სივრცეში სხეულის

<sup>14</sup> საუბარია სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოუცდენლობაზე.

<sup>15</sup> Трудности русского языка..., გვ. 441—442.



ფრენის მანძილის გასადიდებლად ან რთული და მრავალფეროვანი მოძრაობის შესასრულებლად.

დასახელებულ მაგალითში მეტაფორად ან ხიდი უნდა იყოს გამოყენებული, ან ტრამპლინი; ამათი ერთგვაროვან წვერებად ასე გაერთიანება მათი განსხვავებული სემანტიკის გამო არ შეიძლება. ასე კი შეიძლება: **ხიდისა თუ ტრამპლინის**.

მაგიდასთან ერთი სასტუმრო სკამი ჩვენი ჟურნალის წარმომადგენელსაც ეჭირა, რათა შემდეგ „საქართველოს ქალის“ მკითხველისათვის მოკლედ, კონტურებში მოთხროს ის, რაც ამ საინტერესო და საჭირო შეკრებაზე მოისმინა („საქ. ქალი“).

**კონტური** (ფრანგ. contour) — საგნის სხეულის საერთო გარეგანი მოხაზულობა, გარემოხაზულობა. საუბარში გატანით ზოგჯერ იხმარება კალკირებული **კონტურებში** მნიშვნელობით: მოკლედ, ზოგადად. სალიტერატურო ენაში ამ მნიშვნელობით კალკირებული **კონტურებში** სიტყვის გამოყენების საჭიროება არ იგრძნობა.

ღისკუსიები მიმდინარეობს საქმიან, კონსტრუქციულ ვითარებაში („კომ.“).

**კონსტრუქციულ ვითარებაში** შეიძლება მიმდინარეობს თათბირი, მოლაპარაკება. კონსტრუქციულია ვითარება, რომელიც მიმართულია საკითხის დადებითად გადაწყვეტისაკენ. **ღისკუსია საქმიან ვითარებაში** ნათელი გამოთქმაა, მაგრამ **ღისკუსია კონსტრუქციულ ვითარებაში** ასევე ნათელი აღარაა.

**ღისკუსია** (ლათ. discussio კვლევა, განხილვა) სიტყვის შინაარსი (რაიმე სადავო საკითხის საჯაროდ განხილვა, კამათი, პაექრობა) თითქოს გამორიცხავს კონსტრუქციულ ვითარებას.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ დარღვევები უცხო სიტყვათა გამოყენებისას უმეტესად მათი მეტაფორულად ხმარების დროს არის დაშვებული. მეტაფორულად ხმარების დროს არა მარტო აშკარად უცხო წარმომავლობის სიტყვების მნიშვნელობა შეიძლება შეიცვალოს, არამედ უფრო ბუნებრივი და ჩვეულებრივად სახმარი სიტყვებისაც. უჩვეულო სიტუაციაში ნახმარ ამგვარ სიტყვებს ექსპრესიულობის პრეტენზია აქვთ. ამ პრეტენზიულობით ეხამუშებიან ისინი წამკითხველის ენობრივ გრძნობას<sup>16</sup>.

<sup>16</sup> ექსპრესივების შესახებ გაზეთის ენაში იხ. Костомаров В. Г., Русский язык на газетной полосе, М., 1971, გვ. 149—179.

**ნადავლ-**ი ომში ნაშოვნე ქონება, იარაღი... დავლა, ალაფი — ნაძარცვი, ნაყაჩაღარი.

საორტულ შეჯიბრებაში მოპოვებული ჯილდოების აღსანიშნავად ამ სიტყვის გამოყენება უხერხულიცაა, აზრობრივ შეუსაბამობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

აი ასეთია ლ. ტურიშვილის თბილისური ნადავლი („კომ.“).

ირინას სპორტული ჯილდოების ნადავლში არის ევროპისა და მსოფლიოს პირველობების ექვსი და საპროს ოლიმპიადის ერთი ოქროს მედალი („განთ.“ კასის).

ასეთ სიტუაციაში ნადავლ-ის სინონიმად ზოგჯერ **კოლექცია** არის გამოყენებული:

მისი მეწყვილეს კოლექცია შედარებით დარიბია („განთ.“, კასის).

**კუნწულები, კულულები, ნაშიერი, ნახელავი...** სიტყვები მეტაფორულად ხმარების გამო უადგილო ჩანს ასეთ კონტექსტებში:

ლექსის კუნწულები („ახ. კომ.“, სათ.). ძალზე პროზაულ ასოციაციებს იწვევს მიზნად დასახული შთაბეჭდილების ნაცვლად.

ძირს კი, ჩარხის გარშემო, თვალის საამოდ ყრია რკინის ლურჯად პრიალა ნაჩარხის კულულები („კომ.“).

მავთლის ბადის იქეთ, ქინძის, ომბალოს, სტაფილოს, პამიდორის, წიწაკისა და სხვა ათასგვარი ბოსტნეულის ნაშიერი იწონებდა თავს („ახ. კომ.“). მსაჯთა ეიურიმ ბელორუსი ტანმოვარჯიშის ნახელავი 9,85 ქულთ შეაფასა („თბილ.“).

ექსპრესიულობის პრეტენზიის მქონე ასეთი შეუსაბამობანიც შეიძლება შეგვხვდეს:

„ბეჭედიც ბევრი ჰქონდა, ლამის ყველა თითს უშშვენებდა, ლამის, რადგან ცერა თითი ორივე ხელზე დაუბეჭდავი უჩანდა („თბილ.“).

დაუბეჭდავია — რაც არ დაუბეჭდავთ. 1. გამოუცემელი, გამოუქვეყნებელი; 2. დაუკეტავი, დაუღუქავი, ბეჭედადუსმელი.

მოცემულ კონტექსტში დაუბეჭდავი არც ერთი ამ მნიშვნელობით არ არის. აქ დაუბეჭდავი ნახმარია უბეჭდო-ს მნიშვნელობით. სიტყვის ამგვარად გამოყენება თვითნებური ხასიათისა ჩანს.

ხელები ჩაჯიბული ჰქონდა („ლიტ. ხაჯ.“).

**ჩაჯიბული** — მითვისებული, დასაკუთრებული რამე. ამ კონტექსტის მიხედვით კი ნიშნავს **ჯიბებში ჩაწყობილს, შენახულს.**

ექსპრესიულობისათვის გაზეთის ენაში ლექსიკურთან ერთად გამოყენებულია გრაფიკული საშუალება — ბრჭყალები.

სათაურით „**აღლობა სკოლისა**“ საგარეჯოს რაიონულ გაზეთ „ივრის განთიადში“ (№ 64, 71 წ. გვ. 1) დაბეჭდილია წერილი, რომელიც ეხება სკოლაში გამოცდების დაწყების პერიოდს. წერილში ვკითხულობთ:

სასკოლო ცხოვრებაში დადგა უამი „აღლობისა“ — ეს არის მეტად პასუხსაგები პერიოდი.

**აღლობა** მეტაფორულად აქ აღნიშნავს **გამოცდების პერიოდს.** ე. ი. მთელი წლის ნამუშევრის შემოწმების, შეფასების პერიოდს. ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა გვხვდება რესპუბლიკურ პრესაშიც. გრაფიკული საშუალება, ბრჭყალები, გამოყენებულია იმის საჩვენებლად, რომ სიტყვა მეტაფორულადაა ნახმარი. ეს მეტად გავრცელებული ხერხია გაზეთის ენაში:

„ველის ხომალდები“ — კომბაინებია,

„მწვანე ფილტვები“ — მწვანე ნარგავებია,

„ოქროს რთველი“ — ციტრუსების კრეფაა,

„თეთრი მარგალიტი“ — ბაკურიანია,

„თეთრი ოლიმპიადა“ — შეჯიბრებები ბაკურიანში და სხვ.

კომბაინერები გამგეობის ნიშანს უცდიან, რომ ყანაში შეაცურონ „ველის ხომალდები“ („ივრ. განთ.“).

თბილისის მწვანე ფილტვები“ („თბილ.“, სათ.).

„ოქროს რთველია“ ახლა ქობულეთის რაიონში, იკრიფება მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი („სოფლის ცხოვრ.“).

ჩვენი რესპუბლიკის „თეთრი მარგალიტს“ ეწვევა მამაცთა სპორტის მთელი ელიტა („კომ.“).

„ოლიმპიური წლის პირველი მეჭლისი აქვს სპორტის დედოფალს“ („კომ.“).

„სპორტის დედოფალი“ — მძლეოსნობაა წერილის მიხედვით. სხვა მაგალითებში:

შუა თამაშში ცხადი გახდა, რომ გაფრინდაშვილის ნაღმებმა ზვორიკინას „ციხე-სიმაგრეს“ ბზარი გაუჩინეს“ („კომ.“).

მართლაც, ნამდვილად „რეკორდების წვიმაა“ ხარკოვის „ლოკომოტივის“ სა-  
ცურაო აუზში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე მიმდინარე ტურნირზე  
(„სოფლ. ცხოვრ.“).

როცა ანგარიშმა ერთით სამს მიაღწია, თამაშის დამთავრება ვინატრე და აკი  
შიშვით ახლა — კიდევ ორი გოლის „ტყვია გვესროლეს“ („კომ.“).

სტალინის 80-ათასიანი ტრიბუნები ალბათ გარკვეულ „მოკავშირედ“ მოგვეკ-  
ლინებიან („კომ.“).

მეთერთმეტე პარტიაში იგი ძალიან ხშირად უყურებდა საათს, ეს კი ადრე  
მისი პარტნიორის „მონოპოლია“ იყო („თბილ.“).

ბრჭყალების ხმარება ექსპრესემებად, გადატანითი მნიშვნელო-  
ბით, სიტყვის გამოყენებისას ყოველთვის მიზანშეწონილი არაა. ბრჭყალებს  
პუნქტუაციის სისტემაში თავისი დანიშნულება აქვს. ამ უკანასკნელ წინადადებაში  
კი ნათელი არაა მონოპოლია სიტყვის გამოყენების აზრიც. მონოპოლია ხომ  
ნიშნავს (ბერძნ. *monopolia*)

1. რისამე წარმოების ან გაყიდვის განსაკუთრებულ უფლებას;
2. (გადატ.) უპირატესობას, პირველობას რაიმე საქმეში;
3. მსხვილ კაპიტალისტურ გაერთიანებას.

დასახელებულ წინადადებაში ეს სიტყვა მხოლოდ მეორე მნიშ-  
ვნელობით შეიძლება იყოს ნახმარი, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც  
ამგვარად აზრის გამოხატვა უცნაურია: საათის ცქერა პარტნიორის  
უპირატესობა იყო! მარტივი და ნათელი აზრი გაბუნდოვანებულია  
უხერხული ექსპრესემით.

ზოგჯერ გრაფიკული საშუალებებიც აღარ არის მოშველიებუ-  
ლი და მთელი მსჯელობა მეტაფორულია, აზრი კი გაბუნდოვანე-  
ბული.

... დღეს, როცა წაგების ნაჭრილობევი ოდნავ მოშუშდა, ხოლო  
განაწყენებული აფეთქება დინჯმა განსჯამ, აწონდაწონამ შეცვალა,  
მგონია, რომ ქართულ საფეხბურთო ტკივილზე საუბრის დროც დაღ-  
ვა („კომ.“).

ღია კარებიდან სუსხი ყორესავით ჩამოინგრა („კომ.“).

ბესამ ნოეს მოქნეულ მზერას ხმალივით აუკრა თვალი  
და სიტყვა („კომ.“).

მზიანი შემოდგომა იდგა ტყვიავეში. გვიანი შემოდგომა აღარ ზოგავდა პა-  
ლიტრაზე დარჩენილ ფერებს და მზის მეჩხერ სხივებში  
ლამბავდა („საქ. ქალი“).

იგი „კოლხეთის“ მარკის ავტომანქანა იბადება მამა-პაპათა სისხლით მორ-  
წყულ მიწაზე და ფეხს იდგამს ნიქიერი ოსტატების ხელში,  
აქვე გადის გამოცდას, რომ შემდეგ ლაღად და შეუფერხებ-  
ლად იაროს ჩვენი ცხოვრების დიად გზებზე („საქ. ქალი“).

დიდი ამაფეთქებელი ძალით და უსაზღვრო ტკივილებით გამსჭვალულ ასეთ ქმნილებებთან ერთად, პიკასომ მოგვცა ადამიანისადმი უდიდესი სიყვარულით აღბეჭდილი შედეგები („საქ. ქალი“).

... ვოდევილები, რომლებსაც თანდაყოლილი მანკი უწინასწარმეტყველეს, ჯანმგარი გამოდგა და გალადებულმა მეორასე დაბადების დღეც იზეიმა („კომ.“)<sup>17</sup>.

## 2. ლემსნიკური შტამები ბაზეთის ენაში

ექსპრესემა რომ შტამად შეიძლება იქცეს, ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს **ზღუდე**, **ზღვარი**, **მიჯნა** სიტყვები, რომლებიც ძლიერ დამკვიდრდა ჩვენი პრესის ენაში. ისინი ერთმანეთის გვერდით სინონიმებად იხმარებიან. **ზღვარი** და **ზღუდე** რუსული **русьеж-**ის კალკებია:

მიღწეული ზღვარი როდია („მებრძ.“).

მაგრამ უკვე განხორციელებული აღარც კმარა და არც ზღვარია, მით უფრო ღღეს, როცა ქიმიას ესოდენ დიდი გაქანება მიეცა („თბილ.“). „ჩემი რეკორდი ზღვარი არ არის“ („ღლეო“, სათ.). ახალი ზღუდეების დაძლევის უტყუარი პირობაა ჩვენი პარტიის მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის კომპლექსური პროგრამის განხორციელება („საქ. ქალი“). წინ კიდევ ახალი ზღუდეები და ახალი სპორტული მწვერვალებია დასაპყრობი („საქ. ქალი“). ... წარმატებით იპყრობენ ახალახალ ზღუდეებს („საქ. ქალი“). ახალი ზღუდეების დასაპყრობად („მებრძ.“)... მეცხრე ხუთწლედის ახალ-ახალ ზღუდეებს იღებენ („საქ. ბუნ.“). ლენინელები ახალ ზღუდეებს უტევენ... („კომ.“)... მექანიზატორებმა დაიწყეს იერიში მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის ზღუდეების დასაპყრობად („ღენ. გზით“). იბრძვის იმისათვის, რომ მარცვლეულის წარმოებაში 2 ათასი ტონის ზღუდე აიღოს... („ღენ. გზით“). პირველსავე წელს დავიპყრათ ახალი ხუთწლედის პირველი ზღუდეები („ღენ. გზით“)... უკვე იქნა მოპოვებული პირველი წარმატებები ახალი ხუთწლედის ზღუდეების აღებისათვის ბრძოლაში („ღენ. გზით“)... ახალი ხუთწლედის მეორე წლის ზღუდეების დასაპყრობად გააჩაღებს შრომას („გამარჯვ. დროშა“). დალაშქრავენ ზღუდეებს (იქვე). ბორჯომელი ბოთლის მწარმოებლები მედგრად უტევენ ხუთწლედის ზღუდეებს („კომ.“).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, **ზღუდე**, **ზღვარ** სიტყვებს განსაკუთრებულ გამომსახველობას ანიჭებენ ჟურნალისტები, როცა გამოაქვთ სტატიათა სათაურებში და ზოგჯერ მთელი გვერდის მასალის რუბრიკადაც. ყოველდღიურ და ყველგან სახმარებლად შესაძ-

<sup>17</sup> საუბარია „ძველი ვოდევილების“ მეორასე წარმოდგენის შესახებ.

ლებელ სიტყვებად იქცნენ ისინი და გამოდევნეს ხმარებიდან სიტყვები გეგმა, ვალდებულება, მიჯანი, ამოცანა. ამგვარად იქცნენ მეტაფორა-შტამპებად<sup>18</sup>.

ამგვარივე ბედი ეწია მიჯნა სიტყვას. ესეც იმავე მნიშვნელობის სიტყვაა და იმგვარადვე გამოიყენება, როგორც ზღვარ სიტყვა.

დღეს მოწინავეს მიჯნა — ხელთოვლის მიჯნა („კომ.“). — ესაა მთელი გვერდის წარწერა მსხვილი შრიფტით. მიჯნა — მიჯანი, ამოცანა, გეგმა, ვალდებულება ან მიღწევა.

შექალაქდეთა ახალი მიჯნები („მებრძ.“, სათ.). ახალი ხუთწლედის მიჯნები („კომ.“, სათ.). საიუბილეო წელს თავიანთი მიჯნები ზუსტად დასახეს მრეწველობის მუშაკებთან ერთად ლენინგრადელმა მეცნიერებმა („თბილ.“). ავტოპარხნელებმა დასახეს ხუთწლედის მეოთხე წლის მაღალი მიჯნები („კომ.“). ამ წარმატების პასუხად ახალი მიჯნების დაძლევის ამოცანები დავსახეთ („ლელო“). ბევრი მეჩაიე უკვე წელს აპირებს გავიდეს ხუთწლედის დაძლევისათვის დაგეგმილ მიჯნებზე („კომ.“). მეჩაიეები... შარშან ხუთწლედის მიჯნაზე გამოვიდნენ („კომ.“).

მიჯნა სიტყვის ასეთი მეტაფორული გამოყენებისას არავითარი კავშირი აღარა ჩანს მის ძირითად მნიშვნელობასთან, ამიტომ იგი გაუმართლებელ ხერხად უნდა ჩაითვალოს.

შტამპის გაჩენა ენაში საერთოენობრივი მოვლენაა. ყველაზე მეტად ის თავს იჩენს პუბლიცისტურ სტილში. შტამპებს გაზეთის ენა გაზეთის სპეციფიკის გამო თავს ვერ დააღწევს, მაგრამ მეტაფორული შტამპები მისი სარეველაა და მათი დაძლევაა საჭირო<sup>19</sup>.

გაზეთის ენაში გვხვდება კანცელარული შტამპებიც. ასე იხმარება მაგალითად არსებითი სახელები: საქმე, საკითხი, დარგი, სახე..., ზედსართავი სახელები: ერთგვარი, ჭეროვანი, საქმაო, გარკვეული, განუხრელი, მაღალი, ფართო, დიდი..., მათგან ნაწარმოები ზმნისართები: ერთგვარად, ჭეროვნად, საქმაოდ, გარკვეულად, განუხრელად, ფართოდ, დიდად...

საქმე სიტყვას ქართულში მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. „ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში“ ამ სიტყვის ათამდე მნიშვნელობაა დადასტურებული და თითქმის ამდენივე იდიომი მისი მონაწილეობით. ალბათ, ეს გარემოებაც არის მიზეზი ამ

<sup>18</sup> Рубеж სიტყვის შესახებ იხ. Работа над словом, М., 1971, გვ. 84; Костомаров В. Г., დასახ. ნაშრ., გვ.226; Трудности русского языка, გვ. 393—395.

<sup>19</sup> Костомаров В. Г., დასახ. ნაშრ., გვ. 202—231.

სიტყვის ხმარების მოხშორებისა. თანამედროვე პრესაში გვხვდება ბევრნაირი საქმე:

ფულადი სახსრების მობილიზაციის საქმე,  
სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმე,  
მეცხოველეობის აღმავლობის საქმე,  
დოვლათის სიუხვის შექმნის საქმე,  
რემონტის ჩატარების საქმე,  
მშენებლობის ხარისხის დაცვის საქმე,  
სასუქების გამოყენების საქმე,  
მოსავლის აღების საქმე,  
სახელმწიფოსთვის მარცვლეულის მიყიდვის საქმე,  
თივის დამზადების საქმე,  
სიმინდის უხვი მოსავლის საქმე,  
რემონტის საქმე,  
მეცადინეობაზე დასწრების საქმე და ა. შ.

**საქმე** სიტყვა იხმარება გაუაზრებლად, დაუფიქრებლად, ზოგჯერ სულ ფუჭად<sup>20</sup>.

ზოგჯერ **საქმე** სიტყვის მნიშვნელობა გაფართოებული ან დამახინჯებულია. კონტექსტს სხვა სიტყვა უფრო შეიფერებოდა, მაგრამ მის მოსაძებნად არ უზრუნიათ, სახელდახელოდ **საქმე** გამოუყენებიათ.

საბჭოთა კინოს ოსტატთა სასახელო საქმეა თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი დიდი ამოცანების შესრულებაში, შემოქმედებითად გამოეხმაურონ აკკბ ცენტრალური კომიტეტის მი- („მებრძ.“). წარმატებებს აღწევენ.

კონტექსტის მიხედვით აქ უნდა ყოფილიყო **საქმეა-ს** მაგიერ **ვალია**.

ყოველწლიურად ახალ საგმირო საქმეებს აღწევენ მეჩაიები („მებრძ.“). წარმატებას აღწევენ.

ტრადიციულად საღამოს სკოლები დიდი სიძნელების წინაშე დგანან სწავლებიდან მოსწავლეთა ჩამოცილების და მეცადინეობაზე მათი რეგულარულად დასწრების საქმეში („გამარჯვ.“). დასწრების მხრივ.

20 Будагов Р. А., Против словесных штампов, «Вопросы культуры речи», вып. II, М., 1959 г., гл. 4; Правильность русской речи, М., 1965 г., гл. 53—54.

ჩანს, მთელ კახეთში განვითარებული ყოფილა რწყვის საქმე („საქ. ქალი“).

აქ რწყვის ტექნიკა, ხელოვნება იგულისხმება.

დასასრულს ერთხელ კიდევ შევნიშნავთ, რომ პირუტყვის დაწყურების საქმე უნდა მოგვარდეს („ივრ. განთ.“).

**დარწყულება** პროფესიული ტერმინი და ნიშნავს წყლის დაღვეინებას, დარწყულების საქმე იქნება წყლის დაღვეინების საკითხი. მაშასადამე, უნდა მოგვარდეს, გადაიჭრას პირუტყვის დარწყულების საკითხი.

გამოფენაზე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ბუნების დაცვისა და მისი რესურსების რაციონალურად გამოყენების საქმეს („საქ. ბუნ.“).

ალბათ, აქ აჯობებდა: გამოყენების ჩვენებას.

ზოგჯერ აზრობრივ გაუგებრობამდეც მივყავართ საქმე სიტყვის დაუფიქრებლად გამოყენებას:

სამწუხაროდ, ზოგს ჰგონია, რომ კალიგრაფია მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის საქმეა („სახ. გან.“).

**კალიგრაფია** კი არ არის მასწავლებლის საქმე, არამედ კალიგრაფიაზე მუშაობა, კალიგრაფიის გამომუშავება. მერე ეს მისი საქმე კი არ არის, მისი მოვალეობაა.

საქმე სიტყვის ასეთი დაუდევრად, დაუფიქრებლად და გაუაზრებლად გამოყენების შედეგია ის, რომ ზოგჯერ მთელი კონსტრუქცია წინადადებისა უვარგისია და, მაშასადამე, შესაცვლელი.

შედარებით კარგად დგას ხე-ტყის ნარჩენების გამოყენების საქმე ინგურის ცელულოზისა და ქალაღის კომბინატში („ახ. კომ.“).

უნდა იყოს: შედარებით კარგად იყენებენ ხე-ტყის ნარჩენებს ინგურის ცელულოზისა და ქალაღის კომბინატში.

ტრაქტორების რემონტის საქმეში კარგად მუშაობენ აბაშის, ონის, ვანის... რაიონების მშრომელები („კომ.“).

უნდა იყოს: ტრაქტორებს კარგად არემონტებენ...

სასუქებისა და ჰერბიციდების გამოყენების საქმეში კარგად იმუშავეს ყანდაურის, შიბლიანის, ვერხვიანის, პატარძელის კოლმეურნეობებში... („ივრ. განთ.“).



უნდა იყოს: სასუქები და ჰერბიციდები კარგად გამოიყენეს...

ნაგომრის საშუალო სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაცია გარკვეულ მუშაობას ეწევა ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებების გამოყენების საქმეში („ლენ. დროშა“).

მთელი წინადადება დაშტამპულია, ხელოვნური და ბუნდოვანი. გარკვეულ მუშაობას ეწევა, საქმიანობისადმი კონტროლი და ა. შ. აუფერულბენ წინადადებას. შეიძლებოდა იგივე შინაარსი ასე გამოთქმულიყო:

ნაგომრის საშუალო სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაცია იყენებს ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის უფლებას.

შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ მთელ რიგ კოლმეურნეობებსაც („საქ. კომ.“).

უნდა იყოს: ... კოლმეურნეობებში დაბალია შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა.

სატყეო მეურნეობებში აღინიშნება არსებითი ნაკლოვანებანი სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და მისი ორგანიზაციის სრულყოფის საქმეში („საქ. ბუნ.“).

ასეთი კანცელარული სტილით წერა ვითომ აზრობრივი სიზუსტის სურვილითაა გამოწვეული, მკითხველმა ისე რომ არ გაიგოს, თითქოს სოციალისტური შეჯიბრება არაა გაშლილი და მისი ორგანიზაცია არ ხდება. მაგრამ არსებითი ნაკლოვანებანი ამ საქმეში სხვას რას ნიშნავს, თუ არა მის ჩაშლას. მაშინ რა დაშავდებოდა, რომ დაეწერათ: სატყეო მეურნეობებში სრულყოფილად არაა გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება და ნაკლოვანებებია მის ორგანიზაციაში.

აქტიური მონაწილეობა მივიღეთ მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის აღმავლობის საქმეში („განთ.“, ვანი).

— აქტიურად ვიბრძოლოთ... აღმავლობისათვის.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში კომუნისტების მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა წარმოების უფროსმა ამხ. ს. ჯანელიძემ („მებრძ.“).

— პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში კომუნისტების მონაწილეობის შესახებ...

წველადობის საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი სოფელ ტი-  
შაანის..., შუამთის... კოლმეურნეობებმა („განთ.“, ვანი).

აღბათ, უნდა იყოს წველადობის ამალგებით (გაზრდით) გან-  
საკუთრებით ისახელეს თავი...

მეცნიერებას გრიპის საწინააღმდეგო ღონისძიებათა საქმეში ჯერ  
კიდევ არ გააჩნია ბრძოლის ისეთი საშუალებები, როგორც... შეიმუშავეს... წი-  
თელათი დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად („განთ.“, ვანი).

უნდა იყოს: მეცნიერებას გრიპის საწინააღმდეგოდ ჯერ კიდევ  
არ გააჩნია ბრძოლის ისეთი საშუალებები, როგორც...

გამოზამთრების საქმეში ძალზე არასახარბიელო მდგომარეობაა  
სოფელ უხუთის კოლმეურნეობაში („განთ.“, ვანი).

ბუნებრივად, შტამპებისა და კანცელარიზმების გარეშე ეს ში-  
ნაარსი ასე გამოითქმოდა: სოფელ უხუთის კოლმეურნეობაში ზამ-  
თრისათვის ცუდად მოემზადნენ (ან ცუდად ემზადებიან).

საქმე სიტყვასთან ერთად ხშირად მთელი წყებაა ფუჭად და  
უაზროდ ნახმარი სიტყვებისა:

საკითხავია, როდის დაიდება ეს ხელშეკრულება, ან ვინ, რომელი ორგანიზა-  
ცია მოჰკიდებს ხელს სკოლის რემონტის ჩატარების საქმეს? („ივრ.  
განთ.“).

ვინ მოჰკიდებს ხელს სკოლის რემონტს.

გასულ წელს სატყეო მეურნეობაში მოწოდების დონეზე იყო მოვლითი  
და სანიტარული ჭრების ჩატარების საქმე („საქ. ბუნ.“).

ამის გასწორება ძნელად მოხერხდება, იმდენი შტამპია მასში  
და ისეა აზრი გაბუნდოვანებული.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მომავალი წლის უხვი მოსავლის მიღების საქმეს  
ახლა ეყრება საფუძველი („კომ. განთ.“).

— მომავალი წლის უხვი მოსავალს ახლა ეყრება საფუძველი.

ვინც მაქსიმალურად იყენებს ამ დღეებს, საფუძველს უქმნის უხვი მოსავლის  
მიღების საქმეს („ახ. ცხოვრ.“).

— საფუძველს უქმნის უხვი მოსავალს.

განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ **საქმე** სიტყვის შტამ-  
პად გამოყენებას თან სდევს სხვა სახის დარღვევებიც. მასთან ერ-  
თად ხშირად ზედმეტია მისი ამხსნელი სიტყვებიც.

ქვემოთ დავასახელებთ ისეთ მაგალითებს, რომლებსაც მხო-  
ლოდ **საქმე** სიტყვის ამოღება უშველის:

მთელი ფეხბურთის მასშტაბით **საქმის მდგომარეობა** მეტად კარ-  
გი ვერ არის („კომ.“).

მთელი ფეხბურთის მასშტაბით **მდგომარეობა** კარგი ვერ არის.

სპორტდარბაზი სრულიადაც ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს.  
სკოლაში არ მუშაობს ტანვარჯიშის სექცია. ამ **საქმის მოგვარებას**  
დროულად უნდა მიექცეს ყურადღება („ახ. ცხოვრ.“).

— ამას დროულად უნდა მიექცეს ყურადღება.

[ეს] უეუწყობს ხელს მომავალი თაობის სამხედრო პატრიოტული სულისკვე-  
თებით აღზრდის **საქმეს** („განთ.“, ვანი).

ბევრი სკოლა ორგანიზებულად ასწრებს მოსწავლეებს და მათ მშობლებს  
ისეთ კინოსურათებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ანტირელიგიური აღზრდის  
**საქმეს** („სკ. ცხოვ.“).

— ხელს უწყობენ ანტირელიგიურ აღზრდას.

უდიდეს ყურადღებას აქცევს ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების დაცვისა და  
მისი შემდგომი ზრდა-განვითარების **საქმეს** („საქ. ბუნ.“).

— მის შემდგომ ზრდა-განვითარებას.

გაუმჯობესდა პედაგოგიური კადრების მომზადებისა და გადამზად-  
ების **საქმე** („განთ.“, ვანი).

— გაუმჯობესდა კადრების მომზადება და გადამზადება.

მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ისტორიულ-ფიზიკური...  
გეოგრაფიის კვლევადიების **საქმეს** („იხგ სკოლაში“).

— საფუძველი ჩაუყარა კვლევადიებას.

მუშაკები... ყურადღებით ეპყრობიან მისი [ტყის] მოვლა-დაცვის **საქ-  
მეს** („საქ. ბუნ.“).

— ყურადღებით ეპყრობიან ... მოვლა-დაცვას.

სრულებით უგულვებელყოფენ ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვის საქმეს („ჭიათ. მაღარ.“).

— უგულვებელყოფენ ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვას.

ფეხბურთელები წვრთნის დროს დიდ ყურადღებას უთმობენ 11-მეტრიანი საჯარიმოების უკეთ შესრულების საქმეს („სამშ.“).

— საჯარიმოების უკეთ შესრულებას ან საჯარიმოებს.

მეტად გულისხმიერად ეკიდებიან ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესრულების საქმეს („ჭიათ. მაღარ.“).

— შესრულებას.

კედლის გაზეთი უფრო სახალისო წასაკითხავი იქნება, თუ ყურადღებას პიჯაქცევთ მისი ფოტოსურათებით, ნახატებით გამდიდრების საქმეს („ახ. ცხოვრ.“).

— ნახატებით გამდიდრებას.

ეს კი მოსწავლეთა შეგნების ჩამოყალიბების საქმეს ძალიან დიდ ზიანს აყენებს („სკ. და ცხოვრ.“).

— შეგნების ჩამოყალიბებას ზიანს აყენებს.

მისი [მოსწავლის] ფსიქიკური აქტივობა მთლიანად მხოლოდ იმის აღქმის, გავებისა და განმტკიცების საქმეს ემსახურება, რაც გაკვეთილის მიზანდასახულობაშია გათვალისწინებული („სკ. და ცხოვრ.“).

— განმტკიცებას ემსახურება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია... დიდ ყურადღებას აქცევდა და აქცევს ბუნების რესურსების დაცვისა და მოვლის საქმეს („საქ. ბუნ.“).

— რესურსების დაცვასა და მოვლას.

ასეთი ხერხი აადვილებდა ნადირის დაჭრისა და მოკვლის საქმეს („საქ. ბუნ.“).

— აადვილებდა ნადირის დაჭრასა და მოკვლას.

აქ დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ტყეების მოვლა-პატრონობის საქმეს („საქ. ბუნ.“).

— ტყეების მოვლა-პატრონობას.

...აქტიურად ეხმარებით მოძმე ქართული ლიტერატურის პროპაგანდის საქმეს... („ლიტ. საქ.“).

— ეხმარებით... პროპაგანდას.

თანამედროვე პრესის ენაში ძალზე ხშირია კალკირებული შტამპის — **საქმეში** (в деле) ხმარება<sup>21</sup>.

წინადადება უფრო გამართული და ბუნებრივი ხდება მისი ამოღებით, რისთვისაც მის ადგილას **-თვის** თანდებულისანი ფორმის ან ნანათესაობითარი მიცემითის გამოყენება კმარა უმეტესწილად. ზოგჯერ გვიშველის უთანდებულო ან **-ზე** და **-ში** თანდებულისანი ფორმებიც:

მრავალი წლის მანძილზე შრომის კოლმეურნეობა ცნობილი იყო სიმინდის უხვი მოსავლის საქმეში („გამარჯვ. დროშა“).

ამ წინადადების შემასმენელი მოითხოვს მოქმედებითი ბრუნვის ფორმას: **ცნობილი იყო სიმინდის უხვი მოსავლით**.

ამ დარგის აღმავლობის საქმეში თავისი კეთილნაყოფიერი გავლენა იქონია მეცხოველეობის ფერმების სპეციალიზაციამ („განთ.“, ვანი).

— ამ დარგის აღმავლობაზე გავლენა იქონია.

ჩვენი მეტყვევები განსაკუთრებით დაოსტატდნენ ტყის ხელოვნური კულტურების გაშენების საქმეში („საქ. ბუნ.“).

— დაოსტატდნენ ტყის ხელოვნური კულტურების გაშენებაში.

წინადადებაში შემასმენლის სემანტიკა განსაზღვრავს იმას, თუ რით, რა ფორმით შეიძლება შეიცვალოს **საქმეში-შტამპის** შემცველი შესიტყვება.

1. შეიძლება შეიცვალოს ნანათესაობითარი მიცემითით:

ერთწლიან კულტურათა მოყვანის საქმეში თავი ისახელეს („ღენდროშა“).

ერთწლიან კულტურათა მოყვანისას თავი ისახელეს... ან მოყვანით ისახელეს.

სამუშაოების დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარების საქმეში თავი გამოიჩინეს აგრეთვე სატყეოთა უფროსებმა („საქ. ბუნ.“).

— სამუშაოების დროულად ჩატარებით გამოიჩინეს თავი.

ხე-ტყის დამზადების საქმეში თავი გამოიჩინა კუჩხა იაშტის სატყეოს ბრიგადამ („საქ. ბუნ.“).

<sup>21</sup> в деле რუსულისთვისაც შტამპად არის შეფასებული.

— ხე-ტყის დამზადებისას თავი გამოიჩინა...

ზოგიერთი მშობელი ძალიან კარგად ეხმარება და აკონტროლებს შვილს მასალის თეორიულად შესწავლის საქმეში... („სკ. და ცხოვრ.“).

— ეხმარება შესწავლისას.

საკითხის შესწავლის საქმეში გამოვიყენეთ ორი ხერხი („სკ. და ცხოვრ.“).

— შესასწავლად გამოვიყენეთ.

მოსწავლეებმა ხელი შეუწყვეს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკებს დანაშაულის გახსნის საქმეში („ახ. ცხოვრ.“).

— ხელი შეუწყვეს დანაშაულის გახსნისას (გახსნაში).

მხვენლ-მთესველებმა მაღალ შრომით წარმატებებს მიაღწიეს მეცხრე ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის საგაზაფხულო თესვის საქმეში („ახ. ცხოვრ.“).

— წარმატებებს მიაღწიეს საგაზაფხულო თესვისას (თესვაში).

კოლმეურნეობის გამგეობას, პარტიულ კომიტეტს მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლის საქმეში მუდამ მხარში უდგანან კომუნისტები („ივრ. განთ.“).

— ბრძოლისას მხარში უდგანან.

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების საქმეში მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელები („საქ-კომ.“).

— ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებისას (ათვისებაში) დაწინაურდნენ.

სეზონისათვის მზადების საქმეში ჩავატარეთ რიგი სამუშაოებისა („ლენ. დროშით“).

— სეზონისათვის მზადებისას ჩავატარეთ სამუშაოები.

2. შეიძლება შეიცვალოს -თვის თანდებულისანი ფორმით ან ვითარებით ბრუნვაში დასმული მომავლის მიმღეობით, რომელსაც მიზნის გარემოების ფუნქცია აქვს. ეს ხერხდება უმეტესად ისეთ წინადადებებში, რომელშიაც დამატებად არის სიტყვები: როლი, ღვაწლი, წვლილი, მნიშვნელობა და სხვ.

როლი რაღაც საქმეში,  
მნიშვნელობა საქმეში,  
ღვაწლი ან წვლილი საქმეში.

პროფესორ ფ. გოგიჩაიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ეკონომიური ტერმინოლოგიის დამუშავების საქმეში („სკ. და ცხოვრ.“).

— ღვაწლი მიუძღვის ... ტერმინოლოგიის დამუშავებაში.

გარკვეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში („განთ.“, ვანი).

— წვლილს შეიტანენ ... გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

მნიშვნელოვანია მთისძირულ კოლმეურნეთა წვლილი სახალხო სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში („განთ.“, ვანი).

— წვლილი ... სიუხვის შექმნაში.

მისი წვლილიც არის ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და აშენების საქმეში („კომ.“).

— მისი წვლილიც არის ჩვენი ქვეყნის წინსვლასა და აშენებაში.

მცენარეთა ზრდა-განვითარების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის გაფხვიერებას („საქ. ბუნ.“).

— მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ნამყენის შეხორცების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სამყნობ კომპონენტთა მომწიფების ხარისხს („ახ. ცხოვრ.“).

— ნამყენის შეხორცებისათვის...

დასვენების სწორ ორგანიზაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობის აღზრდის საქმეში („სკ. და ცხოვრ.“).

— აღზრდისათვის.

მარცვლეულის უხვი მოსავლის მიღების საქმეში უდიდეს როლს ასრულებს სასუქების ეფექტიანად გამოყენება („ახ. ცხოვრ.“).

— უხვი მოსავლის მიღებაში უდიდეს როლს ასრულებს.

დიდია ოჯახის როლი გამოცდებისათვის მოსწავლეთა მზადების საქმეში („სკ. და ცხოვრ.“).

— გამოცდებისათვის მოსწავლეთა მომზადებაში.

საწარმოო იარაღების განვითარებისათვის თვალის მიდევნების საქმეში დიდად დაგვეხმარება სათანადო ინვენტარის... დემონსტრირება („ინგ სკოლაში“).

— საწარმოო იარაღების განვითარებისათვის თვალის მისა-  
ღვენებლად დაგვეხმარება...

საქმე სიტყვის მსგავსად ლექსიკური შტამპია **საკითხი**, რომე-  
ლიც უფრო ხშირად ზედმეტია.

პარტიული ორგანიზაციის სხდომაზე ამას წინათ დიდი სჯა-ბაასი გაიმართა  
სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის საკითხზე („თბილ.“). — მუ-  
შაობის შესახებ.

ქარხნის პარტორგანიზაციის ღია კრებამ ერთხელ კიდევ საფუძვლიანად იმსჯე-  
ლა პროლექციის ხარისხის საკითხებზე („თბილ.“). — ხარისხის შე-  
სახებ.

... ძალიან დაბალ დონეზე იდგა მათი ტექნიკური მომსახურების სა-  
კითხი („თბილ.“). — დაბალ დონეზე იდგა მათი ტექნიკური მომსახურება.

შრომის ამავე ნაწილში ავტორი ყურადღებას ამახვილებს უშინსკის შეხედუ-  
ლებებზე ბავშვებში მორალური თვისებების გამომუშავებისათვის ოჯახური გარე-  
მის მნიშვნელობის საკითხებზე („ს.კ. და ცხოვრ.“).

— ყურადღებას აქცევს უშინსკის შეხედულებას ოჯახური გა-  
რემოს მნიშვნელობაზე.

ღრთა გონივრულად მივუდგეთ წყლის მომჭირნეობით ხარჯვის სა-  
კითხს... („ახ. ცხოვრ.“). — მომჭირნეობით ხარჯვას.

სხდომაზე აღინიშნა აგრეთვე, რომ საქირთა ერთობლივ ღონისძიებათა და-  
სახვა, რათა გაუმჯობესდეს ფაკულტეტზე შესვლის მსურველი ახალგაზრდობის  
პროფესიული ორიენტაციის საკითხი („თბილ.“).

გაუმჯობესდეს პროფესიული ორიენტაციის საკითხი ბუნდო-  
ვანია. გაუმჯობესდეს ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაცია  
არაფრით უკეთესი არაა, რადგან ორიენტაციის გაუმჯობესება გაუ-  
მართავი შეხამებაა.

შტამპურად გამოიყენება სიტყვები **დარგი**, **სახე**, **სფერო**.

სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგი, ყოველწლიურად ახალ გაზრ-  
დილ მოთხოვნებს აყენებს კვალიფიციური მუშახელის მომზადების დარგ-  
ში („ს.კ. და ცხოვრ.“).

აქ ორჯერაა ჩვენთვის საინტერესო სიტყვა ნახმარი, პირველად  
ის სწორადაა და თავის ადგილას გამოყენებული, მეორეჯერ კი  
დაცილებულია თავის მნიშვნელობას მექანიკურად გამოყენების  
გამო. მომზადების დარგში აქ ნიშნავს მომზადების თვალსაზრისით,  
მომზადების მხრივ, მომზადებისათვის.

გადაწვიტეს სოციალისტური შეჯიბრების ნახევარი წლის შედეგები მეცხო-  
ველობასა და ჩაის დარგში შეამოწმონ ივლისის პირველ ნახევარში  
(„მებრძ.“).



მეცხოველეობაც და ჩაის მრეწველობაც მეურნეობის დარგებია, მაგრამ ასე თქმა — ჩაის დარგში — მაინც არ შეიძლება. უნდა ყოფილიყო: მეცხოველეობისა და მეჩაიეობის ნახევარი წლის შედეგები. დარგი ზედმეტია.

მნიშვნელოვანი გამოცდილება, რომელიც რესპუბლიკაში დაგროვდა უცხოური ენების სწავლების დარგში („უე სკოლაში“).

უნდა იყოს: დაგროვდა უცხოური ენების სწავლებისას.

ქვემოთ შევვხებით მოსწავლეთა საშინაო მუშაობის ზოგიერთ საკითხს და იმ როლს, რაც მშობლებს ეკისრებათ ოჯახში ბავშვების სასწავლო მუშაობის რაციონალური ორგანიზაციის დარგში („სკ. და ცხოვრ.“). — რაციონალურ ორგანიზაციაში.

დასამალი როდია, რომ ჩვენი კოლმეურნეობა უკანასკნელი წლების მანძილზე ძალიან ჩამორჩა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების დარგში („ახ. ცხოვრ.“).

— მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მხრივ.

დასავლეთ ევროპისა და აშშ საშუალო და უმაღლესი სკოლა ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს არა მარტო მეცნიერებათა განვითარებით და ტექნიკის პროგრესით მიღწეულ ცნობათა მარაგის მომავალ თაობაზე გადაცემის დარგში, არამედ ახალგაზრდობის ყოველმხრივი განათლებისა და მსოფლმხედველობის ფორმირების სფეროშიც... („სკ. და ცხოვრ.“).

სახე ხშირად დარგ-ის სინონიმად გამოიყენება:

კვლავ ჩამორჩენა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში, სულადობის გეგმა ყველა სახეშია შესრულებული („ივრ. განთ.“). 28 დეკემბრისათვის გაანადღონ წლიური გეგმა-ვალდებულება ყველა სახეში („მებრძ.“). შარშან კოლმეურნეობას არც ერთ სახეში არ შეუსრულებია დავალება („მებრძ.“).

ამგვარ მაგალითებში სახე მეურნეობის დარგს აღნიშნავს და იქნებ დარგის გამოყენება აჯობებდა.

სახე ხელოვნების დარგების სინონიმადაც არის ნახმარი:

პატარა მხატვრებს ნებისმიერად შეურჩევიათ თემა. ისინი თითქმის ყველა სახეში მონაწილეობენ („მებრძ.“).

ფუჭი და, ამდენად, ზედმეტი სიტყვაა სახით შემდეგ წინააღმდეგობაში:

საშინაო დავალების სახით მოსწავლეებს ეძლევათ სხვადასხვა სავარჯიშოები... („სკ. და ცხოვრ.“).

უნდა იყოს: საშინაო დავალებად ეძლევათ სავარჯიშოები.

სულ წლის მანძილზე ფერმამ მიიღო 246.591 კილოგრამი ქერი და ფქვილი სახით („ივრ. ვანთ.“).

— დაფქვილი ქერი.

ბურჟუაზიული ქვეყნების სკოლებში ყოველი საგნის სწავლება გაქდნობილია ანტიკომუნისტური სულისკვეთებით, ხოლო ზოგიერთი სახელმწიფოს სკოლაში იგი ცალკე საგნის სახითაც ისწავლება („სკ. და ცხოვრ.“).

— ცალკე საგნად ისწავლება.

შტამპად ქცეულ მრავალ ზედსართავ სახელსა და ზმნისართს ხშირი და ზოგჯერ ამ სიხშირის გამო დაუდევრად ხმარებისაგან დაკარგული აქვთ არამართო გამომსახველობა, არამედ ყოველგვარი შინაარსიც. ისინი მექანიკურად იხმარებიან. ამის გამო კი ფუჭ, ხშირად ზედმეტ სიტყვად აღიქმებიან დაკვირვებული ანალიზისას.

არაიშვიათად შტამპები კალკს წარმოადგენს.

კალკირებულ შტამპებად შეიძლება შევაფასოთ ნიშნით, მიზნით, საშუალებით, ხაზით, მხრივ სიტყვების ხმარების ზოგი შემთხვევა.

მაგალითად:

საშინაო დავალების შესრულება განანგრძლივებული დღის სკოლასა და ჯგუფში მოითხოვს კვალიფიციურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას აღმზრდელის მხრივ („სკ. და ცხოვრ.“).

— აღმზრდელისაგან.

მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარეს... დაბისა და მასში შემაჯავლი სოფლების კეთილმოწყობის, სანიტარულ-ჰიგიენური პირობებისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ხაზით („ვანთ.“ ვანი).

— წესრიგის დასაცავად.

მიზნით ზედმეტია ნაზმნარ სახელებთან. მის ადგილას უფრო ბუნებრივია მომავალი დროის მიმღეობა ვითარებით ბრუნვაში მიზნის გარემოების ფუნქციით.

ხანძრის თავიდან აშორების მიზნით ნუ დატოვებთ ჩართულს ელექტროგამხურებელ ხელსაწყოებს! („თბილ.“).

არ ვარგა მთელი წინადადება აზრობრივადაც.

ისრაელმა არაერთხელ დაარღვია ცეცხლის შეწყვეტა(!) და წამოიწყო მთელი რიგი ოპერაციები ქალაქ სუეცის ხელში ჩაგდებას მიზნით („კომ.“).

— სუეცის ხელში ჩასაგდებად.

სკოლის კოლექტივის მიერ დაგროვილი მდიდარი პედაგოგიური გამოცდილების ჩვენებების(!) მიზნით, ავტორი ანალიზებს ცალკეულ მოწინავე მასწავლებელთა მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს („სკ. და ცხოვ.“).

— გამოცდილების საჩვენებლად.

შეთვრებას ატარებენ(!) ზამთრის ამწვრების თავიდან აცილების მიზნით („სკ. და ცხოვ.“).

— ასაცილებლად.

ჩაის მექანიკური კრეფის დავალების განაღდებას მიზნით დაუზარებლად შრომობენ კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადის წევრები („მებრძ.“).

— შესასრულებლად.

იხელთა მომენტი და განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით დაედგენა გურგენიძეს... („კომ.“).

— შესასრულებლად.

... მაღაზიებსა და დაწესებულებებს აეკრძალათ ელექტროგანათების გამოყენება რეკლამის მიზნით („კომ.“).

— რეკლამისათვის.

ყველა მაგალითის ჩამოთვლა შეუძლებელია. ძალზე ხშირია ასეთი შემთხვევები ყველა გაზეთისა თუ ჟურნალის მასალაში. წერილის საერთო სტილზეა დამოკიდებული მისი ხმარება, შეზღუდვა მის გამოყენებაში საჭიროა.

ასე მარტივი არაა ნიშნით სიტყვის ხმარების შემთხვევათა ანალიზი. ზოგჯერ ეს სიტყვა ზედმეტია და მეტი არაფერი.

ჩვენს ქვეყანაში ხალხის ჯანმრთელობის დაცვასა და კეთილდღეობაზე დაუცხრომელი ზრუნვის ნიშნით აღინიშნა საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის ორმოცდაათი წლისთავი („საბჭ. მედ.“).

ამ სიტყვის მექანიკური გამოყენება ტავტოლოგიის მიზეზიც გამხდარა.

უნდა: დაუცხრომელი ზრუნვით აღინიშნა.

კომბინატში მოღუწეული და უგულებელყოფილია კონტროლის და ურთიერთმომთხოვნელობის პრინციპი, რაც გამოწვეულია იმით, რომ აქ კადრებს არც თუ იშვიათად ნათესაური ნიშნის მიხედვით არჩევენ („კომ.“).

— ნათესაობით არჩევენ.

მთელი წილი კრებები(!) ტარდება კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით („გამარჯვ. დროშა“).

— კრიტიკითა და თვითკრიტიკით.

მომხსენებელმა კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით წარმართა მოხსენება... („ლენ. გზით“).

— კრიტიკულად და თვითკრიტიკულად.

მედიცინის მუშაკები კვლავაც თავდადებით, პროფესიული მოწოდებისა და მაღალი შეგნების ნიშნით იშრომობენ („სახვ. მედ.“).

— შეგნებულად იშრომებენ.

... კმაყოფილების ნიშნით დაბრუნდნენ მეცადინეობიდან („ახ. ცხოვრ.“).

— კმაყოფილები დაბრუნდნენ.

... თავიანთ წმინდა მოვალეობად მიიჩნევენ, მუშაობა წარმართონ... აღნიშნული ნაკლოვანებების დაძლევისა და მდგომარეობის გაუმჯობესების ნიშნით („საქ. ბუნ.“).

— გაუმჯობესებისათვის, გასაუმჯობესებლად.

კალკირებული შტამპია საშუალებით სიტყვა. ზოგჯერ მისი ამოღებით უფრო ბუნებრივი ხდება ფრაზა:

ასეთი მარტივი მეთოდის საშუალებით შევძელით მოგვეხდინა... („კომ.“).

— მარტივი მეთოდით შევძელით.

არხის საშუალებით ირწყვება მეურნეობის მიწები... („საქ. ქალი“).

— არხით ირწყვება.

ტელევიზორის საშუალებით ეუყურებდით თანამემამულეთა ხელოვნებას... („ივრ. განთ.“).

— ტელევიზორით.

როგორც ჩანს, ენობრივი, ამ შემთხვევაში ლექსიკური, შტამპი წარმოშობით ხან ექსპრესემია, ხან ენობრივი სტანდარტი. შტამპად იქცევა სტანდარტულად, ხშირად და ერთფეროვნად, კონტექს-

ტის შინაარსის გაუთვალისწინებლად ხმარებული ნეიტრალური სიტყვაც და ისეთი ექსპრესემაც, რომელმაც ხშირი ხმარებისაგან დაკარგა გამომსახველობა. შტამპი ენაში აუცილებელი, მაგრამ უარყოფითი მოვლენაა. პრესის ენაში შტამპების დახვევა არაა სასურველი, ვინაიდან იგი დიდ გავლენას ახდენს მკითხველი საზოგადოების ენობრივ გრძნობაზე.